

ପ୍ରମତ୍ତା ପରିବାରଙ୍ଗଜାଗରଣ



ଏକଟାହ
ବ୍ୟକ୍ତିଗତଶିଳ୍ପ
ଥିବା



ტარიელ კინწურაშვილი

დოთბი გარდატეხილი
ტობი

თბილისი
2013

UDC(უაკ) 821.353.1-312.1
კ – 528

რედაქტორი

აობა ბეჭოძიძე



ღიზაინერი დამკაბალონებელი

აობა ბეჭოძიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამთა ჭავარიძე

ISBN 978-9941-0-5331-3



ტოპავარჩეილის პირას

ადრიანი შემოდგომის წყნარი დარი იდგა. ჩვენს წინ გადაშლილიყო, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ჩამქრალი ვულკანის კრატერში ჩაბუდებული, — მარადი თოვლის ძირას მოლივლივე კამკამა ტბა — ტობავარჩეილი. წლების წინ მე, ჩემი ცხონებული ტყუპისცალი ძმა ტობი და ჩვენი ბავშვობის მეგობრები დათა და წათე ხშირად ვსტუმრობდით ამ ადგილს, — ქეიფშიც ხშირად დაქვთენებია, მაგრამ მას შემდეგ რაც ჩემი ძმა დაიღუპა, ტრადიციამ რომელიც ტობავარჩეილზე ხშირად სტუმრობას ითვალისწინებდა, განვითარება ველარ პოვა და აი კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა მოვახერხეთ ვწვევოდით ვერცხლადწოდებულ ამ ულამაზეს ტბას.

ჩვიდმეტ წელზე ცოტა მეტი იყო გასული ჩემი ძმა შავი ზღვის ტალღებმა, რომ შთანთქა და იმ დროიდან მოყოლებული ზღვის, ტბის ან თუნდაც მდინარის პირას ყოფნა ჩვიდმეტი წლისწინანდელ ავადსახსენებელ დღეს მახსენებდა, — ჰო-და მეც ყოველთვის თავს ვარიდებდი წყალუხვ ადგილებს. მიუხედავად ამისა დრო ყველაფრის მკურნალია და ჩემს მეგობრებთან ერთად, შემოდგომის ამ მშვიდ საღამოს, ძველი ჩვეულებისამებრ, ოჯალე-შის დანაკვერჩლებულ წალამზე ციკანს ვპრაწავდი, — ჩემს წინ კი მზის სხივების გარდატეხით შეფერადებულ

ციროსტრატუსის ღრუბლების გარსს ირეკლავდა ულა-მაზესი ტობავარჩხილი.

ცოტა ხანში სავსე მთვარე ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გამოჩნდა ცის ტატინბზე აქა-იქ ფერმკრთალად მოკიაფე ვარსკვლავთა შორის. ნაკვერჩხალი შეშის მოზრდილი ნაჭრებით კვლავ კოცონად გარდავსახეთ და წყნარ ლამეს მხოლოდ ცეცხლის ტკაცატკუცთან შეზავებული ჩვენი საუბარილა არღვევდა.

უცებ ცაზე გაიელვა ისე, როგორც ჭექაქუხილის წინ იცის ხოლმე, მაგრამ ეს გაელვება ძალზე თვალისმომჭრელი გამოდგა. ორიოდ წამში ულტრაიისფრად მბჟუტავი დისკო ტობავარჩხილისკენ დაეშვა და როგორც კი წყლის ზედაპირს შეეხო, მთელ ტბას პორიზონტალურად ულტრაიისფერივე სწორი ხაზი გადაეკრა. შემდგომ ამისა ციდან მოვლენილი უცხო სფერო ლარივით გავლებულ ხაზზე ერთხელ გადაგორდა და ისევ იმ მდგომარეობაში გაჩერდა რა მდგომარეობაშიც დაეშვა წყალში. ამის შემყურე, მათემატიკის მცოდნე ადამიანს ეგონებოდა, რომ თითქოს დისკომ მათემატიკურ რიცხვით ღერძზე მთელსა და რაციონალურ რიცხვებს შორის ირაციონალური რიცხვი პი (π) დააფიქსირავო.

მემილიარდედის სიზუსტით π-ის დანიშნულების დადგენა კი არის შესაძლებელი, მაგრამ მისი ზუსტი მნიშვნელობის გამოთვლა შეუძლებელია. მე კი ბევრი ფიქრის მერე ამ მანევრს, ჩემეული სიმბოლური ახსნა მაინც გამოვუძებნე.

ჩვენ გაოცებული შევყურებდით ამ უჩვეულო სანახაობას. ჩემ გვერდით მდგარ წათეს ის იყო არყით სავსე ჭიქა ხელიდან გაუვარდა, რომ უმალ დისკოს სარქველიც გაიღო, საიდანაც რიგრიგობით გამოვიდნენ უცნაური არსებები და



წყლის ზედაპირზე დაიწყეს სიარული. დედამიწის სტუმრები, რომლებიც შვიდნი იყვნენ ადამიანის აგებულებისანი კი გახლდნენ, მაგრამ დედამიწის მკვიდრთაგან გარეგნულად მაინც საკმაოდ განსხვავდებოდნენ.

მათ წყალში ჩაყვინთეს და თითქმის ხუთი წუთის განმავლობაში არ ამოუყვინთავთ. წყლის ზედაპირზე დარჩა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე მაღალი იყო. კარგად ვხედავდით როგორ უმზერდა ის კოცონისგან და ფერმკრთალი ბადრი მთვარისგან სუსტად განათებულ ჩვენს სახეებს. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ ეს უცხო არსებები მთვარიდან ბრძანდებოდნენ, — ოლონდ არა დედამიწის თანამგზავრიდან, არამედ მზის სისტემის უდიდესი პლანეტის მთვარიდან — ევროპიდან. ევროპა — იოსთან, განიმედესთან და კალისტოსთან ერთად იუპიტერის გიგანტურ მთვარეთა კვარტეტს ქმნის და ჩვენი სტუმრებიც მისი დაზიანებული და დახრამული ყინულის სქელი ქერქის ქვეშ მოქცეული თხევადი ოკეანის ბინადრები იყვნენ. ისინი ადამიანებისაგან განსხვავებით წყალში ცხოვრობდნენ, თუმცალა უწყლოდაც მშვენივრად შეეძლოთ ყოფნა.

ასე ხუთიოდე წუთით ტბაში ყოფნის შემდეგ უცხო არსებებმა წყლიდან ამოუყინთეს და რიგრიგობით შევიდნენ თავიანთ მფრინავ ხომალდში. ხომალდის სარქველი დაიკეტა, — რამდენიმე წამში დისკო ნელა აიწია წყლიდან და უცებ ისე მოწყვეტით გაფრინდა, რომ თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით — მათ კი ჩვენგან, ალბათ უკვე მრავალი ათასი კილომეტრი აშორებდათ...

გაშეშებულები შევყურებდით ცას. მოულოდნელად დათამ მხარი გამკრა და ტბისკენ თითო გაიშვირა. ტბიდან ხმაური შემომესმა — თითქოს ვიღაც ჩვენსკენ მოცურავდა.



მართლაც, როცა ცურვით მოგვიახლოვდა, მასში უცნაური არსების ნაცვლად ადამიანი აღმოვაჩინეთ და ერთბაშად შვება ვიგრძენით. როგორც იქნა იდუმალებით მოცულმა მოცურავემ ნაპირს მოალწია. ის წყლიდან ამოვიდა, ჩვენ წინ დადგა, და ჰოი საოცრებავ! – ეს კაცი ჩემი ტყუპისცალი ძმა იყო, რომლის შესანდობარი სადლეგრძელოც რამდენიმე საათის წინ დავლიეთ. ტობი ისევ ისე გამოიყურებოდა, როგორც ჩვიდმეტი წლის წინ, – წლები საერთოდ არ ეტყობოდა.

გამოღვიძება

მე შევეცდები მოკლედ გიამბოთ ამბავი, რომელიც ჩემი ძმისაგან შევიტყვე – ხოლო განსჯა ამ ამბისა თქვენთვის მომინდია.

ჩვიდმეტი წლის წინ შავი ზღვის აზვირთებულ ტალღებში ლალად მოცურავე ტობის წინ ულტრაიისფრად მბუუტავი დისკო დაეშვა. იქიდან გამოსულმა დედამიწის სტუმრებმა ჩემ ძმას მკლავებში ხელი გამოსდეს, თავიანთ მფრინავ ხომალდში შეიყვანეს და იმ სიჩქარით, რომელიც სინათლის სიჩქარის **99%**-ის ტოლი იყო, კოსმოსში დაფარეს ის მანძილი, რაც დედამიწიდან დიდი ქოფაკის თანავარსკვლავედის ბინადარ, სიკაშვაშით მზეზე ოცდაორჯერ მძლავრ სირიუსამდე გაფრენას და უკან ჩამოფრენას დასჭირდებოდა. ასე და ამრიგად მის დედამიწაზე დაბრუნებამდე **17,5** წელი გავიდა, მაგრამ ამ სიჩქარით მოძრაობის პირობებში მისთვის დრო შენელდა. დაბრუნების მომენტისთვის მისი ასაკი მხოლოდ **2,5** წლით გაიზარდა. დედამიწაზე ტობი **35** წლის დაბრუნდა, ხოლო მე, მისი ტყუპისცალი ძმა უკვე ორმოცდაათი წლის ვიყავი.



ამ ხნის განმავლობაში ევროპელები ტობიზე, როგორც დედამიწის მკვიდრზე დაკვირვებებს ან არმოებდნენ, მაგრამ ჩემ ქმასაც ბევრი სამყაროსეული საიდუმლოება გადასცეს. მათ ტობის ტვინის ნეირონების დენდრიტებში ლაზერული სხივით შეიიყვანეს თითო-თითო ნანომეტრის ისეთი სხეულები, რომლებშიც მოთავსებული იყო უამრავი ინფორმაცია და აქედან გამომდინარე ტობის გადაეცა ისე-თი საიდუმლოც კი როგორიც არის წარსულში დაბრუნება. მან იცის რანიარად უნდა ააგოს ისეთი საპაერო ხომალდი, რომელიც იფრენს იმ სიჩქარით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სინათლის სიჩქარეს და რომლის მეშვეობითაც იქნება შესაძლებელი წარსულში მოგზაურობა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სინათლის სიჩქარე შეადგენს 300 000 კილომეტრს წამში. ისეთი სიჩქარის შესატყვისად რაც აღემატება სინათლის სიჩქარეს ხდება დროის უკან სვლა – ეს მათემატიკურადაც მტკიცდება, მაგრამ აქ ვხვდებით ერთ დიდ პრობლემას. ფარდობითობის თეორიის თანახმად, თუ სხეული სინათლის სიჩქარით იმოძრავებს, მისი მასა უსასრულოდ დიდი გახდება, თუმცა ტობის გადაეცა ცოდნა იმისა, თუ რა გზებით შეიძლება მასის ზრდის შეჩერება და სხვა ნიუანსები...

სხვათაშორის აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოიყენება, უკვე დედამიწაზე აპრობირებული ტექნოლოგია, – მასკანირებელი ტუნელური მიკროსკოპის დახმარებით შექმნილი მოლეკულა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო დარგში, ნანოტექნოლოგიებშიც მიიღება.

გეტყვით იმასაც, რომ ეს ამბავი შეიტყვეს ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კანავერალის კონცხზე არსე-

ბულ, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ნაციონალურ სამართველოშიც და ტობი მიიწვიეს რათა ...

და აი ამ დროს ბერს გაეღვიძა! ის ნელ-ნელა გამოვიდა ძილ-ბურანიდან. მას რაღაცნაირად გულიც კი დაწყდა. იგი ხომ თითქოს თავისი ხელით დაწერილ ძალიან საინტერესო წიგნს კითხულობდა სიზმარში, ჰო-და ამბის დასასრულიც აინტერესებდა – მით უფრო, რომ ორმოცდაათი წლის ბერი პროფესიით ასტროფიზიკოსი გახლდათ, – მის გონებაში კი სამყაროს შექმნის მეცნიერული და ბიბლიური ვერსიები, – საერთოდ სამყაროსადმი შეხედულება, უცხოპლანეტელების არსებობა თუ არარსებობა, ხშირად თანხვედრაში ვერ მოდიოდა ერთმანეთთან. ერთ მხარეს იყო დიდი აფეთქება, ხოლო მეორე მხარეს ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო... კარგა ხანია მსგავსი ფიქრები ბერს ტვინს ულრლნიდა.

უცებ სენაკი უჩვეულოდ აელვარდა! ბერს ნეტარი ავგუსტინე გამოეცხადა და ერთი ამბავი უამბო...

გამოცხადება

ერთხელ, როდესაც ნეტარი ავგუსტინე ქალაქ იპონში წმინდა სამებაზე წიგნს წერდა, უდიდესი გონებრივი დაძაბულობისგან დაღლილი, სასეირნოდ გარეთ, აფრიკის სანაპიროზე გამოვიდა. თუმც წიგნის წერას ცოტა ხნით მოსწყდა, მაგრამ წმინდა სამების მიუწვდომელ საიდუმლოს გონებით წვდომას კვლავ განაგრძობდა. უცრად ზღვის ნაპირზე მისი ყურადღება ლამაზმა ჭაბუკმა მიიპყრო, რომელიც პატარა ვერცხლის კოვზით ზღვიდან წყალს იღებდა და პატარა ორმოში ასხამდა. ნეტარი ავგუსტინე ჭაბუკს მიუახლოვდა და ჰკითხა, – რას აკეთებო... – ჭაბუკმა უპასუხა, – ეს ზღვა მინდა ამოვხაპო და ორმოში



ჩავტიოო. როცა ნეტარმა ავგუსტინებ ამ აზრის აბსურ-დულობას გაუსვა ხაზი, – ჭაბუკმა უპასუხა – „მე უფრო ადვილად შევძლებ ამას ვიდრე შენ გონებით მისწვდები წმინდა სამების მიუწვდომელ საიდუმლოს და ჩატევ შენს წიგნშიო“. ის ჭაბუკი ანგელოზი იყო.

როდესაც ნეტარი ავგუსტინე უჩინარი შეიქნა – ბერი ჩაფიქრდა, შემდეგ კი თავში ასეთმა აზრმა გაუელვა:

– სამყაროს ყველაზე უმთავრესი და დიდი მტერი შავი ხვრელიც ხომ ფიზიკის კანონებს არ ექვემდებარებაო... ის რატომლაც ამის შესახებ ადრე საერთოდ არ ჩაფიქრებულა. ღრმად არ დაფიქრებულა არც იმაზე, რომ სამყაროში, უმ-ცირესი პოზიტრონიდან უდიდეს სისტემებამდე და გალაქ-ტიკამდე ყველაფერი ზედმიწევნით კანონზომიერების ჩარჩოში ჯდება. მსგავსი არდაფიქრებები ერთგვარად მეც-ნიერების ავადმყოფობას წარმოადგენს. ისინი მოვლენებს განიხილავენ მათ განვითარებაში, ურთიერთკავშირში და ამტკიცებენ, რომ ეს არის ესე, მაგრამ ამის იქით ვეღარ მიდიან.

ნელ-ნელა ბიბლიურმა ვერსიამ ბერის ქვეცნობიერში დამაჯერებელი გამარჯვება დაიწყო. მის გონებაში ქრისტიანულ სარწმუნოებრივმა ლოგიკამ დაჯაბნა მეც-ნიერების, – მთავარ სიღრმისეულ აზრს მოკლებული შეხედულება, რომელიც არ არის სრულყოფილი ჭეშ-მარიტება და თვით მეცნიერების განმარტებითაც მეც-ნიერების ჭეშმარიტება პირობითია.

ბერი ფიქრებში იყო ჩაფლული. ამ დროს სენაკის კარი ნელა გაიღო. მან კარისკენ გაიხედა და ბოლოსდ-აბოლოს მაინც ვერ გამოერკვა, – სიზმარში იმყოფებოდა თუ ცხადში.

ბერს ტყუპისცალი ძმა ესტუმრა, რომელიც თითქმის

ორი ათეული წლის წინ შავ ზღვაში დაიხრჩო და ბევრი მცდელობის მიუხედავად მის გვამსაც კი ვერ მიაკვლიეს.

ეს მე ვარ ტობი! რომ იცოდე რა აღარ გადამხდა თავს, — თქვა ახალმოსულმა და ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მომავლის ინტერვიუ

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, მზის ოქროსფერი სხივები წყნარ ლურჯად შეფერილ შავ ზღვას ელამუნებოდა, ხოლო ბუნების ამ სადა კომბინაციას ანკესმომარჯვებული, ნავში მჯდომი მოხუცი კაცი და თეთრი თოლიების მიერ სივრცეში შესრულებული ირაობები ამდიდრებდა.

სისხამ დილით მალთაყვის სანაპიროზე კაცის ჭაჭანება არ იყო, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. მან ხმელეთზე უქმად მდგომი ნავი ზღვაში შეაცურა, ზედ შეხტა, ნიჩბები მოუსვა და მოხუცს მიუახლოვდა, რომელიც მეტად უცნაური შესახედაობის გახლდათ — მელოტს და ქოსას წარბებიც არ ჰქონდა.

ახალგაზრდამ მოხუც მეთევზეს სალამი მისცა და ასეთი წინადადებით მიმართა:

— უურნალ „ინტელექტის“ კორესპონდენტი გახლავართ, მთავარი რედაქტორისგან დავალებული მაქვს, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა პროფესიის და ასაკის ხალხს დაახლოებით ერთნაირი შინაარსის კითხვებით მივმართო — მათი პასუხებიდან გამომდინარე საზოგადოების ინტელექტუალური კოეფიციენტის მიღებას შევძლებთ, — საინტერესო ინტერვიუები კი უურნალის ახალ რუბრიკაში — „ნაპოვნ ინტელექტში“ განთავსდება. დიდად დამავალებთ თუ ინტერვიუზე დამთანხმდებით.

მოხუცმა ახალგაზრდა კორესპონდენტს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.



- შეგატყვეთ ღრმად იყავით ჩაფიქრებული და თუ საიდუმლო არ არის რაზე ფიქრობდით?
- თქვენ როგორ ფიქრობთ.
- ალბათ დიდი თევზის დაჭერაზე ფიქრობდით, არა?
- პასუხმა მაინც კითხვითი ინტონაცია მიიღო.
- არა, ასეთ რამეზე ფიქრი ხომ ძალზედ მატერიალის-ტურ შინაარს შეიცავს. მსგავს თემებზე ღროის ხარჯვა და ტვინის დაღლა ფუჭ საქმიანობად მიმაჩნია.
- მაშ რაზე ფიქრობდით?
- რომ გითხრათ გაგეცინებათ.
- გპირდებით მთელი სერიოზულობით მოგისმენთ.
- კარგით, მოგახსენებთ. ანტიმატერიალურ სამყაროზე ვფიქრობდი.
- უკაცრავად, ვერ გავიგე?..
- მატერიალური სამყაროს უმაღლეს პლანეტა ბრაჰ-მალოკაზე სიცოცხლის ხანგრძლივობა $4\,300\,000 \times 1\,000 \times 2 \times 30 \times 12 \times 100$ მზის წელიწადია. მიუხედავად ამისა მოვა დრო და ისიც განადგურდება. ბრაჰმალოკაზე დედამი-ნასთან შედარებით სიცოცხლე ბევრად გრძელია, მაგრამ ისიც კი ერთი გაელვებაა არამატერიალურ სამყაროთა მარადიულ სიცოცხლესთან შედარებით. მატერიალურ სამყაროში ყველაზე სწრაფი სინათლის სიჩქარეა — ის წამში დაახლოებით $300\,000$ კილომეტრს ანვითარებს. ამ სიჩქარით წამში დედამიწას არაერთხელ შემოუვლით, — თუმც მე ჩემი ფიქრით, რომელიც თავის ანტიმატერიალო-ბიდან გამომდინარე, სინათლის სიჩქარეს ბევრად აღე-მატება, — ვმოგზაურობდი ზეციდან ესოდენ დაშორებულ ანტიმატერიალურ სამყაროში, — იმ სამყაროში სადაც მთელი კოსმოსური გამოვლინება შევა და მეტერიალური სამყაროს განადგურების შემდეგ დაეშვება მატერიალური

საწყისები. ვმოგზაურობდი დაუსაბამო ანტიმატერიალურ სამყაროში და იქ ჩემს ადგილს ვეძებდი.

უურნალისტს სახეზე დაბნეულობა შეეტყო. რამდენიმე წამიანი პაუზის შემდეგ კი სხაპასხუპით თქვა:

— თქვენს საყვარელ საქმიანობას რა წარმოადგენსო... რაზეც მოხუცმა მიუგო — მუშაობაო და როცა ახალგაზრდა კაცის თვალებში გაკვირვებისმაგვარი გამომეტყველება შენიშნა, გადაწყვიტა პასუხისმომსმაგრება შეეძინა, — პასუხი კი ასეთი იყო:

— მუშაობა საკუთარ თავში.

— რამდენი წლის ბრძანდებით? მომდევნო შეკითხვაზე გადავიდა უურნალ „ინტელექტის“ კორესპონდენტი.

— მე მომავლიდან ვარ ჩამოსული და მართალი გითხრათ არ ვიცი რა კრიტერიუმებით ვისარგებლო, რომ თქვენთვის გასაგები გახდეს ჩემი ასაკი.

უურნალისტს გაეცინა — ერთი პირობა ინტერვიუს შეწყვეტაც კი გადაწყვიტა, თუმცა რაღაც ძალამ უბიძგა რათა მოხუცისთვის კითხვები კვლავ დაესვა და ირონიული, დაცინვაშეპარული ტონალობით კითხა:

— თქვენ ისეთი კაცი ჩანხართ უცხოპლანეტელებიც ნანახი გეყოლებათ...

— იმათ ვისაც თქვენ უცხოპლანეტელებს უწოდებთ ძირითადად მომავლიდან დაბრუნებული ადამიანები არიან...

ვინაიდან მოხუცმა ახალგაზრდის ირონიული დამოკიდებულება იგრძნო, იქვე დაამატა:

— საზოგადოების დიდ ნაწილს, რომელთაც ყოველდღიური წვრილმანების გარდა არაფერი აინტერესებთ, ამაში საკვირველებას ვერ ხედავენ, ვერც გონებით წვდებიან ასეთ რამეებს და ამგვარი საკითხები ყოველთვის ყეყეჩურ



ირონიას იწვევს მათში.

— გთხოვთ სერიოზული პასუხები გამცეთ, ნინააღმდეგ შემთხვევაში ინტერვიუ არ შედგება და მე იძულებული ვიქნები დაგემშვიდობოთ.

— ნუ ღელავთ ყმაზე ვილო, ვეცდები უფრო სერიოზულად მივუდევ საკითხს, გისმენთ!

— ვინ არის თქვენი რჩეული მწერალი?

— რჩეული მწერალი არ მყავს.

— ხელოვნება თუ გიტაცებთ?

— დიახ.

— თქვენი რჩეული მხატვარი ვინ არის? ეგ მაინც მომახსენეთ.

— ღმერთი

— მე ადამიანზე გეკითხებით.

— განა, ყველა ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუში — ღვთის ხელდასმით არ არის შექმნილი? ყველაზე დიდი შედევრი — სამყარო — ხომ ღმერთმა შექმნა?

— გასაგებია, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ... თუ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ ჩვენ, ადამიანები და სხვა ყველაფერი, მატერიალურ სამყაროში სხვადასხვა ელემენტებისგან შევდგებით, რომ-ლებსაც მენდელეევის პერიოდულ სისტემაში მოუყრიათ თავი. თითოეულ ამ ელემენტს მისთვის დამახასიათებელი ერთნაირი ატომური მასა აქვს და ამაში საკვირველს ვერაფერს ხედავთ? ანდა შემთხვევითობას მიაწერთ ელე-ქტრომაგნიტური სპექტრის არსებობას თავის ხილული სინათლით თუ გრძელი და მოკლე ტალღებით, რომლებიც ერთი სიჩქარით — სინათლის სიჩქარით ვრცელდება? გრავიტაციის შესახებ რაღას იტყვით? დედამიწის გრავიტაციული ველი ხომ მთვარეს დედამიწის გარშემო

ორბიტაზე აკავებს, მზე კი დედამიწას და მზის სისტემის ყველა სხვა პლანეტას თავიანთ ორბიტაზე. ხედავთ ყველაფერი როგორი სიზუსტით არის მოწყობილი? კარგით, ამასაც შევეშვათ, მაგრამ მიმოიხედეთ ირგვლივ რა სილამაზეა. მხატვარი მოვა, ამ ყველაფერს დახატავს, — არა მართებული იქნება ვთქვა გადაიხატავს, დიახ გადაიხატავს ღვთისგან შექმნილ სილამაზეს.

— უკაცრავად ცოლ-შვილი გყავთ?

— მყავს, მაგრამ მომავალში დავტოვე. რამოდენიმე დღეში ჩამომაკითხავენ და მეც კვლავ გავემგზავრები მომავალში ჩემს ცოლ-შვილთან ☺.

უურნალისტმა მოხუცი შეშლილად ჩათვალა და გადაწყვიტა ბოლო კითხვა დაესვა მისთვის.

— თუ თქვენ მართლა მომავლიდან ხართ, რატომ საუბრობთ ასე ღიად, — არ გეშინიათ, რომ დაგიჭირონ და სამეცნიერო ექსპერიმენტებისთვის გამოგიყენონ?

— ეგ გამორიცხულია.

— რატომ?

— თქვენი ჩათვლით, ყველა შეშლილ მოხუცად ჩამთვლის.

— კარგად ბრძანდებოდეთ მოხუცო! თუმცა ბარემ ამ კითხვაზეც მიპასუხეთ, — რა მისით დაბრუნდით მომავლიდან?

— თქვენთვის ინტერვიუ რომ მომეცა ☺.

უურნალისტმა დამცინავი მზერა სტყორცნა მეთევზეს, დაემშვიდობა, ნიჩბებს მოუსვა და გამოტრიალდა ნაპირის კენ.

მოხუცმაც ირონიული მზერით გააცილა დიდად „განსწავლული“ უურნალისტი.

ამასობაში ნემსკავას კარგა მოზრდილი თევზი გამოედო. ჰო მართლა, ეს მოხუცი დროში გარდატექილი ტობი იყო.



ტოპის თამაში ჰიპოთეზა

მეცნიერული აღმოჩენები დღითიდლე სულ უფრო მეტად დახვეწილ სახეს იღებს, მაგრამ მათი მატერიალური წინსვლა-მიღწევები კვლავაც სწორხაზოვანი – სიღრმისეულ აზრს მოკლებულია და ამიტომ საჭიროა ამ სწორხაზოვანი ჰიპოთეზის ჩატარება ქვევით – სიღრმისკენ, რათა ჰიპოთონტს იქით გამოჩენდეს სინათლე, რომელსაც აინშტაინის ცნობილი ფიზიკის ფორმულა $E=mc^2$ ვერ მიესადაგება, რამეთუ აღნიშნული სინათლე ფიზიკის კანონებს უარყოფს – ის მეტაფიზიკური ფენომენია.

სწორედ ზეგანზომილების ღვთიური სინათლით იყო დამუხტული ტობი, – როდესაც თავისი სხეულის სულით, პირადი „მე“ – ოსტატ არგოს მიერ, დოდონეს წმინდა მუხისაგან გამოთლილ გემზე გაამგზავრა... – რის შემდეგაც მის გონში ჩაისახა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ბერძნები კოლხეთს – ადამის ნაქონი საწყალისთვის – ბიბლიური წარმომავლობის გრაალისთვის მიადგნენ.

ამ ჰიპოთეზის ერთგვარი კაბალისტიკური ფორმულირება ტობიმ გამანდო და მე შევეცდები მოკლედ აგიხსნათ თუ რას ეყრდნობა მისი ეს თამაში აზრი.

ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი პითაგორა რიცხვ შვიდის განსაკუთრებულობას სამისა და ოთხის ჯამში ხედავდა. ანტიკური ხანის მათემატიკოსებისთვისაც სამკუთხედი და ოთხკუთხედი წარმოადგენდა სრულყოფილ გეომეტრიულ ფიგურებს. შვიდს ეგვიპტელები და ბაბილონელებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, – „სიცოცხლის რიცხვად“ მიიჩნევდნენ და მათვისაც

შვიდი სამისა და ოთხის ჯამს შეადგენდა.

სამი და ოთხი – სამი და მეოთხე – „სამოთხე“. შვიდი ასოსგან შემდგარი ეს სიტყვა, კაბალისტიკური მნიშვნელობის რიცხვით ჯამში 6325-ს აფიქსირებს. ამ რიცხვის ციფრთა შეკრებით 16-ს ვიღებთ, – შემდეგ კი 7-ს. შვიდის კაბალისტიკური მნიშვნელობის ქართული ასოა „ზ“. ამ ასოს სრული სახელწოდება „ზენი“ ბადებს სიტყვას – „ზენა“, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს – „ზეციურ ძალას“.

მოდით ეხლა სიტყვა „ზეციურ“ გავშიფროდ: „ზე“ – შესაძლებლობებით, ხარისხით მეტი. „ც“ – სინათლე. „ი“ – პარადოქსული უზუსტობის გამომსახველი ასოა და ამასთანავე ასოს სრული სახელწოდება „ინი“ – დედრული საწყისის სიმბოლოა. „ური“ – ორი მდინარის, ტიგროსის და ევფრატის შესაყართან, ოდესლაც არსებული, ბიბლიური ქალდეას, აბრაამის სამშობლოდ წოდებული ქალაქია.

ვიდრე ტობის ჰიპოთეზის ახსნას განვაგრძობდე, მოდით ქართველი ეზოთერიკოსი მწერლის – გივი ალაზნისპირელის წიგნიდან – „მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა“ შემოგთავაზებთ ნაწყვეტს:

მაშ ასე; გავბედავ და გაგიზიარებთ კიდევ ერთ მოსაზრებას, რომლის მიხედვით ეს ქალაქი, ნაშენი ოქროთი და სხვა ძვირფასი თვლებით საქართველოს ქვეშ – მიწაში მდებარეობს. მას არ ესაჭიროება არც მზე, და არც მთვარე, რამეთუ ღმერთის დიდებამ გაანათა იგი... (გამოცხადება; 21-23).

დიახ ბატონებო, ეს ის ნათებაა, რომელიც ამ რეგიონში ზეციდან სვეტიცხო-ველით შემოდის. სწორედ ეს ნათებაა საფუძველი, რათა რომელიღაცა ადგილზე, მიწაში ჩაშენებულ ქალაქს არ დასჭირებოდა არც მზე და არც



მთვარე.

საქართველოს წიაღის ეს უდიდესი საიდუმლოება პირველ რიგში სულიერი სამყაროს იმ ცოდნას გულისხმობს, რომელსაც მიწაში დაგროვილი ნათება შეიცავს. ასეთი პროცესი ბუნების თვითმყოფადობაა, ან ასე შეიძლებოდა ამ მოსაზრების ფორმირება: ამ ნათებაში კოდირებულია უდიდესი (ვიმეორებ) ... უდიდესი ცოდნა და აზროვნების უნარიანობა. შემეცნების ასეთ უნარს ბადებს ის სიმშვიდე, რომელსაც ქვესკნელში ჩასული ადამიანები აღწევენ. სილრმეში ჩასული მამაკაცის „იან“ სხეულზე, მიწისქვეშ დაგროვილი „ინ“ ველის ზე-მოქმედების გამო მამაკაცის ენდოკრინული ცენტრები ზე-განვითარებას განიცდიან, რაც საფუძველი ხდება ჯირკვალთა სისტემის გახსნისა კოსმოსის მიმართ.

უნდა დავუშვათ ალბათობა, რომ ვგონებ მიგნებულია ჭეშმარიტი ქალაქი „ჰური“, რომლის გამოყენებაც უკანასკნელად ამ ქალაქის მკვიდრთ – შუმერებს უნდა სცოდნოდათ. მხედველობაში მაქვს: მათი ზეციური მანანით დაპურება; კოსმოსში გარდასხეულება; დროის ხელოვნური გამოცვლა და სხვა... თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე არსებული, ორი მდინარის – ტიგრო-სისა და ევფრატის შესაყართან ოდესღაც ნამდვილად არსებობდა ქალაქი „ური“, მაგრამ იგი მხოლოდ კოპიოს წარმოადგენდა ჭეშმარიტი „ჰური“ ქალაქისა. მოგონილი „ური“ ეპოქების თვალის ახვევის მიზნით ჩვენი პლანეტის სხვა ტერიტორიაზე იქნა აშენებული და არა იქ, სადაც დედამიწის აზრობრივი ღერძი პროექციონდება. ამიტომ, შეთხზულ შუამდინარეთში აგებულ ქალაქ – „ური“-ს „ჰ“ გამოაკლდა, ვინაიდან ეს ასო დედამიწიდან კოსმოსში გამსვლელ პროცესს გულისხმობს. „ჰ“-პროცესის არსის



გადამალვა კი ბაბილონის გოდოლისა და მასთან დაკავშირებული კოსმოგონიური სისტემის ტაბუმ განაპირობა.

ასეთია ქართველი ეზოთერიკოსის მოსაზრება ქალაქ „ჰურის“ შესახებ და მას ისეთი სარწმუნო მტკიცებულებებით ამყარებს, რომ დაფიქრება ყოველივე ამის შესახებ ნამდვილად ღირს. სხვათაშორის ის არგონავტების ძებნის ობიექტად საქართველოს მიწის ქვეშ აგებულ ქალაქ „ჰურის“ და მასში დაგროვებულ ცოდნას მიიჩნევს.

ახლა თქვენს ყურადღებას შუმერული რიცხვების აღმნიშვნელ მთავარ სიმბოლოზე შევაჩერებ და ავღნიშნავ, რომ სამკუთხედს ქვემოთ პროექციონულია შვეული ხაზი, რომელიც ამოტრიალებული სამკუთხედის წვეროზეა შეერთებული და შუმერულ რიცხვს სასმისის ფორმას აძლევს. ტობის აზრით სამკუთხედი – მიწიური სამი განზომილების აღმნიშვნელი სიმბოლოა, ხოლო შვეული ხაზი – ზეგანზომილების სინათლე, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ელექტრომაგნიტური სპექტრის ხილულ სინათლესთან.

შუმერული რიცხვების გამომხატველი მთავარი ნიშანი – ამქვეყნიური სამი განზომილების და მეოთხე ზეგანზომილების – ასევე ადამის ნაქონი სასმისის ერთგვარ სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ გრაალი, შუმერული მითოლოგიით ქვესკნელშია გებულ, საქართველოს ქვეშ დამარხულ ქალაქ – „ჰური“-ში უნდა იყოს.

გრაალის მეორენაირ დასათაურებაში თუ ასო „ნ“ მოთავსდება – მივიღებთ არა სასმისს, არამედ საწმისს. „ნ“ კი ამ შემთხვევაში – სიტყვებთან „ნმინდა“ ან „ნყალი“ და სასმისის საწმისად გარდასახვის აღმნიშვნელ ასოდ შეიძლება მივიჩნიოთ.



საწმისი, სასმისი და სამოთხე!!! თუ დავუკვირდებით შვიდი ასოსგან შემდგარი სიტყვებია, ხოლო სამოთხის კაბალისტიკური ფორმულირებით ამოხსნილი ამოცანა, თავისთავად მიუთითებს სამოთხისა და ადამის – როგორც სამოთხეში დაბადებული პირველი ადამიანის ურთიერთკავშირზე.

აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოდ; – დროში გარდატეხილი ტობის ჰიპოთეზა, სრულიად შესაძლებელია, სიმართლის საბურველში იყოს გახვეული.

სარჩევი

ტომავარჩხილის პირას	3
გამოლვიძება	6
გამოცხადება	8
მომავლის ინტერვიუ	10
ტომის თამამი ჰიპოთეზა	15